ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 301. ხუთშაბათი, 24 მარტი 1905 წ. გაზეთის № 2780.

კ ა რ მ ე ლ ა

მოთხრობა ედ. დე-ამიჩისისა

(იტალიურით)

I

რაც ახლა მინდა გიამბოთ, ერთ პატარა კუნძულზე მოხდა, სიცილიიდან სამოცდა ათის მილის მანძილზე. კუნძულზე ერთად-ერთი სოფელია, შიგ ორი ათასი სული სცხოვრობს, მეტი არა. ამათ უნდა მიუმატოთ სამას-ოთხასი დამნაშავე, აქაურ სატუსაღოში გამოგზავნილნი. ამ დამნაშავეთა გამო აქვე იდგა რაზმი, ორმოციოდ სალდათისაგან შემდგარი. ეს რაზმი ყოველ სამ თვეში იცვლებოდა და უფროსად ჰყავდა აფიცერი-სუბალტერნი. სალდათები ნეტარებასა და განცხრომაში იყვნენ, ყაზარმასა და სატუსაღოში დარაჯობის მეტი საქმე არაფერი ჰქონდათ. ათსში ერთხელ კუნძულის ამა თუ იმ მივარდნილ ნაწილს დაათვალიერებდნენ ან და ცოტა ხნით სამხედრო ვარჯიშობას გამართავდნენ—ეს იყო და ეს! გარდა ამისა, ღვინო ბოთლი ოთხი სოლდო (რვა კაპეიკი) ღირდა და მერე რა ღვინო! საუკეთესო! თვით აფიცრის შესახებ არაფერს ვიტყვი. მისს თავისუფლებას საზღვარი არა ჰქონდა და აბა სწორედ ამ კაცს შეეძლო თქვა:—სამხედრო უფროსი ვარ მთელის მხრისაო!—ორი ჯარისკაცი მოსამსახურედ ჰყავდა; სოფლის შუაგულში მშვენიერი სახლი ჰქონდა მუქთად; დილაობით მთებზე სანადიროდ დადიოდა; ნასადილევს დაბაში გამართულ სამკითხველოში ადგილობრივ დიდკაცობასთან ატარებდა დროს, საღამოს ნავით სეირნობდა და თანაც საუცხოვო ორ ჩენტეზიმიან (კაპიკიან) სიგარებს სწევდა. ტანთ ისე იცვამდა, როგორც მოეწონებოდა და მოეგუნებებოდა; უდარდელს, უზრუნველს, კმაყოფილს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მისი ერთად-ერთი დარდი ის იყო, რომ ასეთი განცხრომა სამს თვეზე მეტს ველარ გაგრძელდებოდა.

დაბა ზღვის ნაპირას არის გაშენებული. მის პატარა ნავთსადგურში ყოველ ორ კვირაში ერთხელ შემოდიოდა საფოსტო გემი, ტრაპანსა და ტუნიზს შუა მოსიარულე. ათასშიერთხელ სხვა გემებიც ჩერდებოდნენ. გემების ყოველ მისვლაზე დაბაში ზარებსა რეკდნენ და მცხოვრებნიც ნავთსადგურისაკენ გარბოდნენ საყურებლად და სათვალსეიროდ.

საერთო სახე დაბისა მოკრძალებული, მაგრამ მოღიმარე და მხიარულია; განსაკუთრებით მხიარულია დაბის მოედანი. ეს მოედანი, როგორც ყველა პატარა დაბეზში, მცხოვრებთათვის იგივეა, რაც ქალაქელთათვის ბაღია. მოედანი სანაპიროს აერთებს დაბის მთავარს სწორ ქუჩასთან, ვიწრო და ერთის მხარის სიგრძე ქუჩასთან. რაც დუქნები და საჯარო დაწესებულებანია, სულ მოედანზეა. აქვეა, ანუ, უკედ, მაშინ იყო, ორი საყავო; ერთში დადიოდნენ მოურავი, ადგილობრივი მთავრობა და დიდკაცობა; მეორეში კი უბრალო ხალხი იყრიდა თავს. სახლი, სადაც ხსენებულ რაზმის უფროსი იდგა, მოედნის იმ მხარეს იყო, რომელიც ზღვას გაჰყურებდა; და რადგან ნაპირიდან მოკიდებული ნიადაგი თან და თან მთაგორიანდებოდა, თავის სახლის ორ ფანჯრიდან ხედავდა ნავთსადგურს, სანაპიროს კარგა მოზრდილ ნაწილს, ზღვას და შორს სიცილიის მთებს.



მსხვერპლი.—სურათი კასპარ რიტტერისა.

კუნძული მთლად ვულკანიურ მთებისაგან შესდგება და ხშირის ფიჭვნარით არის დაფარული.

გურიის ცხოვრებიდან



გურია.—სურ. ნაკაშიძისა.



გურია,—სურ. ნაკაშიძისა. სიმინდის ტეხა.



გურია.—სურ. ნაკაშიძისა.



გურია.—სურ. ნაკაშიძისა. მთიბავი.

ამ სამის წლის წინედ, აპრილის ერთს მშვენიერ დილას ტუნისში მიმავალი საფოსტო გემი ამ დაბის ნავთსადგურში გაჩერდა. გემის გამოჩენისათანავე დაბაში ზარი დარეკეს და მცხოვრებნი ყველანი მოგროვდნენ. მოსულთა შორის ერივნენ რაზმის უფროსი, სალდათები, მოურავი, ბოქაული, ნავთსადგურის უფროსი, კარაბინიერების უფროსი და ერთიც ახალგაზდა ექიმი, რაზმს რომ მოჰყვებოდა ტყვეთა მოსავლელად. გემს ორი ნავი მიადგა, შიგ ჩაისხა და ნაპირას გადმოსხა ოცდათორმეტი ქვეითი ჯარის კაცი და მათი აფიცერი, ახალგაზდა, თეთრგვრემანი საამო სახის ახალგაზრდა კაცი. აფიცერმა ხელი ჩამოართვა თავისს წინამოადგილე აფიცერს, ადგილობრივის მთავრობის წარმომადგენელს ზრდილობიანად მიესალმა და თავისს რაზმს დაბაში გაუძღვა. სასეიროდ გამოსული ხალხი აქით-იქედ იყო გამწკრივებული გზაზე. აფიცერმა სალდათები ყაზარმაში დააბინავა თუ არა, მოედანზე გამობრუნდა, სადაც შეკრებილი ხალხი ელოდდა. ქალაქის მოურავმა ყველას სათითაოდ წარუდგინა ახალმოსული, ნახევრად მხიარულისა და ნახევრად სერიოზ სახით, შინაურულად. ეს ცერომონია რო გათავდა, ხალხი დაიშალა. ახალგაზდა აფიცერი თვისმა კოლეგამ წაიყვანა სახლში, სადაც უნდა დამდგარიყო. წამსვლელ აფიცრის მსახური იმასლა უცდიდა, შეკრული ბარგი გაეხსნა და თავის ბატონის ოთახი დაელაგებინა. ერთს საათს უკან ყველაფერი მზად იყო.

წინანდელი რაზმი იმ საღამოსვე წავიდა, ასე საათის რვაზე. ნავთსადგურამდე ახლად მოსულმა რაზმმა გააცილა. ჩვენი ახალმოსული აფიცერი წამსვლელს გამოეთხოვა თუ არა, სახლში დაბრუნდა და მაშინათვე დაწვა. მგზავრობამ, მთელი დღე ფეხზე დგომამ საშინლად მოჰღალა და ძალზე ეძინებოდა. და მეტად ტკბილადაც დაეძინა.

II

მეორე დილას, მზე ამოიწვერა თუ არა, სახლიდან გამოვიდა. მოედანზე ჯერ ათი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ ვიღამაც კალთას ჩამოსწია. მოტრიალდა. ორ ნაბიჯის მანძილზე უნძრევლად ახალგაზდა ქალი იდგა, წელში გამართული, თითქო სალდათია და სამხედრო სალამს აძლევს თავისს უფროსსაო. თმა აწეწილი ჰქონდა, ტანისამოსიც დახეული. მა-



გურია. — სოფ. ნაკოშარა. ბაბუშვილის ბაღვის ეკლესია.



გურია. — სოფ. ნაკოშარა. ფე. სოფლისა ეკლესია ნაგი.

ღალი, წერწეტა და მშვენიერი ტანადი ქალი დიდრონსა და ცოცხალ შავ თვალებს აფიცერს არ აშორებდა.

— რა გნებავსთ?—ჰკითხა გაოცებულისა და ცნობისმოყვარე სახით აფიცერმა.

ქალმა არა უპასუხა რა. იღიმებოდა და ცალი ხელი შუბლთან ჰქონდა მიდებული, როგორც სალდათს აქვს ხოლმე სამხედრო სალამის დროს.

აფიცერმა მხრები შეიშმუშნა და სიარული განაგრძო. მაგრამ კიდევ ათი ნაბიჯი გადასდგა თუ არა, იგრძნო, რომ ვიღაცაც კიდევ ჩამოსწია კალთას, და მეორეჯერ მოტრიალდა ისევ ის ქალი იდგა გაშეშებული, სალდათსავით. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ამ სცენას სხვები უყურებდნენ და იცინოდნენ.

— რა გნებავსთ ჩემგან?—ჰკითხა ხელმეორედ.

ქალმა სალოკი თითი მისკენ გაიშვირა და ღიმილით უთხრა:

— შენ მინდიხარ.

— გავიგე,—იფიქრა აფიცერმა,—ალბად ფულსა მოთხოვს.—ჯიბიდან რამდენიმე სოლდო ამოიღო, ქალს გაუწოდა, და ის იყო, უნდა წასულიყო, მაგრამ ქალმა ცალი ხელი გულზე მიიფარა, თითქო აფიცრისაგან გამოწვდილი ხელი უნდა მოიშოროსო, და მეორეჯერ წამოიძახა:

— შენ მინდიხარ.

ესა სთქვა და ფეხებით მიწაზე ტყაპუნი დაიწყო, ორივე ხელი თმაში დაიკლო, უარესად აიწყო და ნირშეუცვლელ შუბუნს მოჰყვა, თითქო ბაგშია და სატირლად ემზადებაო. გარშემო ხალხი იცინოდა. აფიცერმა ჯერ ხალხს შეხედა, მერე ქალს, შემდეგ ისევ ხალხს და თავისს გზას გაუდგა. თითქმის მთელი მოედანი თავისუფლად გაიარა. მაგრამ რომ მიადწია იმ ადგილამდე, საიდანაც გზა ნავთსადგურისაკენ მიდიოდა, იგრძნო, ვიღაცა მსუბუქად და სწრაფად შეეხო მისს მხრებს და სანამდი უკან მოტრიალდებოდა, გაპარულიას ხმით ყურში ჩასძახა:—ჩემი საუნჯეგ!

აფიცერს თავით-ფეხამდე ერუანტელმა დაუარა. არ მოტრიალდა და უფრო თამამად გასწია წინ. მეორეჯერაც ჩაეწვეთა ყურებში:—ჩემი საუნჯეგ!

— თავიდან მომწყდით!—შეუტია აფიცერმა ქალს, რომელმაც მოკრძალებით უკან დაიხია.—არ მომასვენებთ! საქმე ზომ არ გამოგლეკეთაო! გაიგეთ?

ქალი დადონდა, მერე გაიღიმა, ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა, ხელი გაიშვირა, თითქო აფიცერს უნდა მოეალერსოსო. აფიცერმა მარდად უკან დაიხია. ქალმა კი დაბალის ხმით უთხრა:—ნუ გაგაკვირდებით, ჩემო კარგო აფიცერო!

— გასწი-მეთქი!

— . . . . ჩემი საუნჯე ხარ.

— გასწი, თორემ ახლავე სალდათებს დავუძახებ და სატუსალოში წაგაყვანინებ შენს თავს.—და იქვე მახლობლად გაჩერებულ სალდათებზე მიუთითა. ქალი ნელის ნაბიჯით მოშორდა, მობუზული. თვალებს ქვეშ-ქვეშიდან მაინც არ აშორებდა, ნიკაპს წინ იშვერდა და ტუჩებ-გამოშვერილი იმეორებდა:—ჩემო საუნჯეგ!

— აი, დალახვროს ღმერთმა!—თავის თავს ელაპარაკებოდა ნავთსადგურისაკენ მიმავალი აფიცერი;—აოა, ლამაზიც რომ არის!

მართლა რომ ლამაზი იყო გოგონა. ნამდვილი ნიშუში იყო სიცილიელ ქალთა იმ მამაყურის და თამამის სილამაზისა, რომელიც არა მარტო თავისუფლად გინერგავსთ გულში სიყვარულსა, არამედ იძულებულ გყოფსთ, თქვენის სურვილის წინააღმდეგ, შთაინერგოთ გულში ეს სიყვარული; კარმელა ნიშუში იყო იმ სიცილიელ ქალებისა, რომელთა თვალები ისარივით გულის სიღრმემდე ატანს, რომ დაიმორჩილოს და დაიმონოს მაყურებელი. თმა და თვალები ყურყუმასავით შავი ჰქონდა, შუბლი მაღალი და დაფიქრებული, ტუჩებისა და წამწამების მოძრაობა სწრაფი, სიცოცხლითა და ღონით სავსე. ოდნავ ჩახლეჩილ ხმაზე დაღლილობა ეტყობოდა. გაღიმების შემდეგ პირი გაპობილი და თვალები დაღებული რჩებოდა.

III

საღამოს ახალმოსული აფიცერი დიდკაცების საყვავოში შევიდა. იქ ექმის თავისი თავ-გადასავალი ყველფერი უამბო და ჰკითხა:

— რატომ არ დაამწყვდევენ სადმე?

— სად გნებავსთ, რომ დაამწყვდიონ?—უპასუხა ექიმმა.—სიცილიის საავადმყოფოში ქალაქმა თავის ხარჯით ერთი წელიწადი ამყოფა. მაგრამ რაკი დაინახეს, რომ ტყეილად დაეკარგათ დროცა და ფულიცა, გამოიყვანეს და სახლში წაიყვანეს. ყველას იმედი გადაუწყდა, არ მორჩებაო; პირველად თვით ექიურმა ექიმებმა სთქვეს, ამას არა ეშველებაო.-რაო. აქ საწყალი გოგონა თავისუფალი მაინც არის, ჰაერსავით; ამასთან, სამეგროთა გარდა არავის აწუხებს.

— სამხედროთ კი რაღად აწუხებს?—იკითხა აფიცერმა.

— როგორ გითხრათ? ერთი გამოურკვეველი ამბავი მოხდა. ყველანი თავისებურად ხსნიან ამ ამბავს, განსაკუთრებით კი დაბალი ხალხი. როგორც მოგეხსენებათ, ხალხსა თუ თავისი რამეც არ დაუმატა ამა თუ იმ ამბავს, ისე ხომ არ იქმნება. ასეა თუ ისე, მე მგონია, შემდეგი აზრი, ზოგიერთთაგან შემოწმებული, უფრო ჭკუასთან ახლოს უნდა იყოს. ამ

სამის წლის წინად აქ რაზმის უფროსად ერთი მეტად ლამაზი აფიცერი იყო, ისე, როგორც ახლა თქვენა ხართ. საუცხოოდ უკრავდა გიტარაზე და ანგელოზსაეთი მღეროდა. ეს ქალი შეუყვარდა. ამაზე ლამაზი ამ მხარეში მაშინ, როგორც ახლაც, არავინ იყო...

— მართლა რომ ლამაზია!—კვერი დაჰკრა ექიმმა.

— ქალსაც ზოგი მისმა მშვენიერმა ხმამ,—მოგეხსენებათ ამ მხარეში სიმღერა და მუსიკა გგგიტებით უყვარსთ ყველას,—ზოგიც იმ გარემოებამ, რომ ეს აფიცერი აქაური სამხედრო ძალთა უმფროსი იყო, და განსაკუთრებით-კი მისმა სილამაზემ თავბრე დახვია და შეუყვარდა. შეუყვარდა და მერე როგორ! ისე, როგორც მხოლოდ აქ იცინ შეყვარება; შეუყვარდა იმ მხურვალე სიყვარულით, რომელთან შედარებით სიმხურვალე ვულკანთა-მიერ ამოხეთქილ ცეცხლისა სახსენებელიც არ არის. აქაურ სიყვარულს თან სდევს ხოლმე გიჟური ივეთანობა, ბნედა, სიშმაგე, მთელი ტრაგედია!.. სახლში დედა-ღა ჰყავდა ცოცხალი, ისიც თვალსინათლე გამოლეული იყო და ჯოხის ფათურით თუ ღა შეიქლო სიარული; ასე რომ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ქალის სრული თავისუფლება... სოფელში ყველას ჩუჩრული და ჭორაკანობა დაიწყო; ქალი, მართალია, თავისის ქცევით ჭორების მასალას იძლეოდა, მაგრამ ნამდვილად კი ამ ჭორებში სიმართლის ნაშნწყვალიც არ იყო; მაშინაც და ახლაც ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენია ქალსა... საკვირველია, დაუჯერებელია, ამიტომ რომ ყველანი გაიძახიან, ქალი და აფიცერი ნახეკარჯერ სულმოდგმ ერთად ატარებდნენ დროსაო. მაგრამ უნდა მოგახსენონთ, განსაკუთრებულის თვისებისანი არიან ამ მხარის მცხოვრებნი; ქალიშვილები მღგზნებარე და თავისუფლები არიან, მთელს დღეს საყვარელ ორსებასთან ატარებენ და ვინც არ იცნობს, ეგონება, ქალებმოსილებასა და უბიწოობას მათში ფსი არა აქვსო; ის კი არა, მთასავით თავდაჭერილთ, თავიანთის ენებათა ღელვის ბატონთ იშვიათად თუ სდმე ნახავთ!.. მაგრამ რადა ბევრი თავი შეგაწუხონთ! აფიცერი დაჰპირდა, ცოლად შეგიერთავო. ქალმაც დაიჯერა და სიხარულისგან ცათაფრენა შემდგარი კინაღამ ქუჩაზე არ შესცდა. მართალს მოგახსენებთ. ამბობდნენ, ხანდისხან ყველას ვვეშინოდა სიყვარულმა არ გადარიოს საწყალი ქალიო. მეცა მჯერა ეგ ამბავი. ვის შეუძლია გამოიცნოს, თუ რა ზომამდე აღწევს ასეთის სისხლის პატრონ ქალთა სიყვარული? ერთ დღეს სსვებს რომ არ მიესწროსთ და ხელიდან არ გამოეგლიჯოთ ერთი ქალი, ან მოჰკლავდა, ან და საშინლად დაასახიჩრებდა. არავინ იცის, რა მიზეზითა, იკვიანობა დაეწყო და წარმოედგინა, გზაზე მეღობებაო. სწორედ ამ საყვარს პირდაპირ მოხდა ეს ამბავი მთელის ხალხის წინაშე. და განა მარტო ერთთან მოუვიდა ჩხუბი! ქალს არავის შეეძლო აფიცრის სახლის სარკმელისაკენ აეხედნა, და ან გზაში მოტრიალებულიყო მის საყვარლის შესახედავად! კარმელა მაშინათვე პირში სწვდებოდა, გაათრევდა და სიკვდილსაც დაემუქრებოდა. ბოლოს, ის დღეც დადგა, როცა რაზმი უნდა გამოცვლილიყო. აფიცერი დაჰპირდა, ორიოდ თვეს უკან დაბრუნდებიო. ქალმა დაიჯერა, ხოლო აფიცერი წავიდა და წავიდა, უკან დაბრუნებული არავის უნახავს. საცოდავი ქალი ავად გახდა. მორჩენის შემდეგ თვისის იმედის მცირედი ნასახი რომ გაჰქრობოდა, შეიძლება დაჰვიწყებოდა აფიცერი. მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ იყო მოკეთებული, რომ როგორაც გაგგო—აფიცერმა ცოლი შეირთოვო. ეს მწუხარება მისთვის მოულოდნელი იყო და საშინელიცა. ჭკუაზე შესცდა. აჰა, მისი თავგადასავალი.

— მერე?

— მერე, როგორც უკვე გითხარით, საავადმყოფოში გგგზავნეს სიცილიაში; შემდეგ იქიდან დაბრუნდა და ეს წელიწადი მეტია, აქ არის.

ამ დროს ერთმა საღდათმა კარებში თავი შემოჰყო და ექიმს მოახსენა, საჭირო ბრძანდებითოო.

— დასასრულს მერე გიამბობთ.—სთქვა ექიმმა და საყვარელ გავიდა. აფიცერი წამოდგა გამოსამშვიდობებლად. ამ დროს მისი ხმაი მაგიდას მოედო და ძალუმი ღელვანი მოიღო; ერთი წუთიც არ გასულა, ისე მოეწდნიდან ყვირილიმოისმა:

— გავიგონე, გავიგონე! მანდ არის, უკან!

და ამავე დროს კარების ზღურბლზე გიჟი ქალი გამოჩნდა.

— გაადეთ აქედან!—დაიყვირა აფიცერმა და სწრაფად ზეზე წამოვარდა, თითქო ვინმემ მუჯლუგუნი ჰკრაო; ქალი საყვარს მოაშორეს.

— წადელ და სახლში დავუცდი!—წამოიძახა კარმელამ შორიდან;—წადელ, სახლთან დავუცდი ჩემს მალხაზ აფიცერს!

თ. ს.

(შემდეგი იქნება)



ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეი! რა სეირია! ეგეი, ორივეე ჩემთან მოგა ლ!..

რედაქტორ-გამომგემელი ალ. ზ. ჯაბადარი

Дозв. цензура. Тифлисъ, 21 марта 1905 г. Электропеч. изд. т—ва. груз. ელექტრონის ხტამბა წაგ. გამომ. ამბ—ხა